ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N17

26.11.2015

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების ცვლილების საკითხი.

2. 1994 წლის კურსდამთავრებული ანა ღლონტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

3. 2003 წლის კურსდამთავრებული მარიამ ფანჯიკიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

4. ანა ბოკუჩავას კურსდამთავრებულთა წარდგინებიდან (ფაკულტეტის დეკანის წარდგინება N26646/02, 14.08.2015) ამოღება.

5. საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შერჩევის კომისიის დამტკიცება.

6. სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევ კომისიაში ცვლილების შეტანა.

7. სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ფაკულტეტზე განაწილების საკითხი.

8. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებსი კომისიის დამტკიცება

9. ბაკალავარიატში 2016-2017 მისაღები კონტიგენტის კვოტების საკითხი

10. სხვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები:

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, თამარ აბაშიძე, ლალი სურმანიძე, ანასტასია ქიტიაშვილი

ასისტენტ პროფესორები: ირინა ჟვანია, ნინო ლაბარტყავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ირინე გედევანიშვილი შორენა მამუკაძე, მარინე კაკიაშვილი-ჯაღიაშვილი, მედეა დესპოტაშვილი

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

ასოცირებული პროფესორი:

იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ნანუკი ალიბეგაშვილი

მარიამ ტაბატაძე

გვანცა სალია

სალომე თოფურია

ანი ზერეკიძე

ნიკა გოძიაშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 21 წევრი.

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების ცვლილების საკითხი.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ დღის წესრიგში დადგა ფაკულტეტის თვითმმართველობის საბჭოს წევრ სტუდენტთა ცვლილების საკითხი. დეკანის სახელზე შემოსულია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის, პაატა ბახტურიძის განცხადება, რომელშიც წარმოდგენილია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრ სტუდენტთა სახელობითი სია (10 სტუდენტი). პროფესორ თამარ გაგოშიძის განცხადებით, დებულების თანახმად, საჭიროა საბჭოს შემადგენლობაში იყოს 10 სტუდენტი. შესაბამისად, საჭიროა შემადგენლობის ცვლილების პარალელურად საბჭოს დაემატოს კიდევ ერთი სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. შედეგად ანა კობაიძის, ელისო ქურციკიძის, თეა კანდელაკის ნაცვლად საბჭომ განიხილა ნიკა გოძიაშვილის, ნინო ცინაძის, ქეთევან აბესაძის და ანი ზერეკიძის კანდიდატურა.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და ცვლილება დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 19[1]
წინააღმდეგი: 0

[1] ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტების ჩანაცვლების პროცედურის შემდეგ, საბჭოს დამსწრეთა შემადგენლობა განისაზღვრა 21 წევრით.

2. 1994 წლის კურსდამთავრებული ანა ღლონტის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 1994 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ანა ღლონტმა (წარსულში ანა ბაზლიძე), რომელიც ითხოვს მის სახელზე უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ქორწინების საფუძველზე გვარის შეცვლის გამო შეტანილ იქნეს ცვლილება.

საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ 1994 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ოქმები არ არის დანომრილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია ანა ღლონტის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ანა ღლონტი (ანა ბაზლიძე) 1989 წელს ჩაირიცხა (ბრძ.#4/525, 06.07.1989) და 1994 წელს (ბრძ.#4/770,16.11.1994 წ.) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 17 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - სოციალური ფსიქოლოგია.

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ანა ღლონტის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და ოქმის ნომრად პირობითად განისაზღვროს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1994 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ანა ღლონტის (ბაზლიძე) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #17/პ, ხოლო იმავე წლის სხვა ოქმების ნომრებად განესაზვროთ ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის

სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3. **2003 წლის კურსდამთავრებული მარიამ ფანჯიკიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.**
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ თსუ–ის რექტორს განცხადებით მიმართა 2003 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მარიამ ფანჯიკიძემ რომელიც ითხოვს მის სახელზე ახალი დიპლომისა და დანართის მომზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ მარიამ ფანჯიკიძე 1999 წელს ჩაირიცხა (ბრძ.#4/732, 05.08.1999) და 2003 წელს (ბრძ.#4/740, 08.07.2003 წ.) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის სხდომის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სპეციალობით - ზოგადი ფსიქოლოგია.

საქმის წარმოებისას გაირკვა აგრეთვე, რომ 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ოქმები არ არის დანომრილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია მარიამ ფანჯიკიძის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება მარიამ ფანჯიკიძის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები და ოქმის ნომრად პირობითად განისაზღვროს ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის მარიამ ფანჯიკიძეს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს

#19/პ, ხოლო იმავე წლის სხვა ოქმების ნომრებად განესაზვროთ ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. ანა ბოკუჩავას კურსდამთავრებულთა წარდგინებიდან (ფაკულტეტის დეკანის წარდგინება N26646/02, 14.08.2015) ამოღება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ანა ბოკუჩავას სასწავლო ბარათის შემოწმებისას დადგინდა, რომ მას საგანი „აკადემიური წერა“ გავლილი აქვს 2 ჯერ. ჩვენი ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ საგნის სილაბუსები იდენტურია, შესაბამისად აღნიშნული საგანი მას ვერ ჩაეთვლება 10 კრედიტად და შესაბამისად არ ექნება შესრულებული 240 სავალდებულო კრედიტი. ანა ბოკუჩავა დაფიქსირებულია ფაკულტეტის საბჭოს ოქმი#12-ში (14.08.2015) საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა შორის და შესაბამისად თსუ რექტორის 2015 წლის 18 აგვისტოს კურსდამთავრებულთა შესახებ დიპლომების გაცემის ბრძანებაში (N871/01-04, 18.08.2015).

ვინაიდან, ანა ბოკუჩავამ ვერ შეასრულა საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი 240 კრედიტი, საჭიროა შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ წარდგინებაში (ოქმი #12, 14.08.2015) და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ანა ბოკუჩავას ნაწილში იყოს გაუქმებული.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას:

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 2

5. **საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების შერჩევის კომისიის დამტკიცება.**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შერჩევის კომისიის თავჯდომარის, შალვა აბზიანიძის გარდაცვალებისა და კომისიის წევრის, იზაბელა პეტრიაშვილის კომისიიდან ამორიცხვის შესახებ შემოსული პირადი განცხადების საფუძველზე საჭიროა აღნიშნული კომისიის წევრთა ჩანაცვლება. ასევე, კომისიის შემადგენლობას გაუვიდა ლეგიტიმაციის ვადა და საჭიროებდა ხელახალ დამტკიცებას. შესაბამისად, პროფესორმა თ. გაგოშიძემ დაასახელა 5 კანდიდატურა - ასისტენტ-პროფესორები - ხათუნა მარწყვიშვილი(თავჯდომარე), ზაქარია ქიტიაშვილი, თეონა ლოდია, მედეა დესპოტაშვილი, ეფემია ხარაძე. ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან წარმოადგინეს კომისიის წევრობის ორი კანდიდატურა - მარიამ ტაბატაძე და სალომე თოფურია

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევ კომისიაში ცვლილების შეტანა.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ კომისიის თავჯდომარის, შალვა აბზიანიძის გარდაცვალების გამო ასისტენტ-პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი დასახელდეს კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო კომისიის წევრი თამარ ხიდაშელი ჩაანაცვლოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტმა ნუცა საღარაძემ.
საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

7. სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ფაკულტეტზე განაწილების საკითხი.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ დღის წესრიგში დადგა სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ფაკულტეტზე განაწილების საკითხი. აქვე მომხსენებელმა საბჭოს გააცნო წინა სასწავლო წელს დამტკიცებული მოდელი: შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება ნაწილდებოდა მაგისტრატურის სტუდენტებზე. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ აღნიშნული მოდელი დარჩენილიყო ძალაში - პრეზიდენტის დაფინანსება საბაკალავრო, ხოლო შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება - სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებზე გადანაწილებულიყო.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად .

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

8. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასების კომისიის დამტიკიცება.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის სტუდენტების სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასების კომისიას გაუვიდა ვადა. მან დაასახელა კომისიის შემადგენლობა:
ასისტენტ პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი - თავმჯდომარე
ასისტენტ პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ხიდაშელი

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ბაქანიძე

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ფანცულაია
საბჭომ კენჭი უყარა კომისიის შემოთავაზებულ შემადგენლობას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

9. ბაკალავრიატის 2016-2017 წელს მისაღები კონტიგენტის კვოტების საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროგფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა რექტორთან დეკანების შეხვედრის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ თსუ ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტების რაოდენობა არ აღემატებოდეს ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დღეს უნივერსიტეტში დასაშვებ ნორმაზე 1000-ით მეტი სტუდენტი სწავლობს და აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება იმისათვის, რომ პრობლემები არ შეიქმნას. რექტორის შემოთავაზება ფაკულტეტის მისაღებ კონტიგენტზე 130 სტუდენტია. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის პროგრამამ შეიძლება ეს რჩევა გაითვალისწინოს და წელს 145-ის ნაცვლად 105 სტუდენტი მივიღოთ, მაგრამ განათლების მიმართულებას სურდა თავისი კონტიგენტის გაზრდა, რაც საბჭოს წინა სხდომაზეც დაფიქსირდა. ცხადია, დღეს შეუძლებელია ასეთ რაოდენობაზე საუბარი.
შესაბამისად, სტუდენტების კვოტები არჩევითი საგნების მიხედვით, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ასე გადანაწილდება:
მათემატიკა -50
ისტორია -10
ბიოლოგია -25
ლიტერატურა -20

დაწყებითი პედაგოგიკის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევითი საგნების მიხედვით კვოტები:
მათემატიკა -5
ისტორია- 5
ბიოლოგია -5
ლიტერატურა -10.

რაც შეეხება საგნების მიხედვით მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, წინადადებაა დარჩეს შარშანდელის ანალოგიური.

აზრი გამოთქვეს: ლ. სურმანიძემ, თ. აბაშიძემ, ნ. ალიბეგაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ფსიქოლოგიის პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის დროებით შემცირება შესაძლებელია და შემდგომში ამ დანაკლისის შევსება მობილობით შეიძლება.

თ. გაგოშიძემ საბჭოს შესთავაზა კენჭი ეყარათ შემოთავაზებული რაოდენობისთვის- 130 სტუდენტი: 105 ფსიქოლოგიის პროგრამაზე და 25 დაწყებითი განათლების პროგრამაზე იმ დათქმით, რომ უშუამდგომლებს დაწყებითი განათლების პროგრამაზე სტუდენტების კვოტის შეძლებისდაგვარად გაზრდას.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

საბჭომ კენჭი უყარა წინადადებას: დამტკიცდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო და დაწყებითი პედაგოგიკის საბაკალავრო პროგრამების არჩევითი საგნების მიხედვით სტუდენტების კვოტები წარმოდგენილი სახით და მისაღები გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საგნების მიხედვით შარშანდელის ანალოგიურად.

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

10. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მოახსენა, 2 საკითხი სასწავლო პროგრამებში ცვლილების საჭიროების შესახებ : ა) პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ იამზე კუტალაძის განცხადების საფუძველზე საჭიროა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობად განისაზღვროს ინგლისურის გამოცდა B2 დონეზე. ბ) პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ლალი სურმანიძის განცხადების საფუძველზე საჭიროა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის (ინტედისციპლინური) სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ იქნას ნინო კიღურაძის არჩევითი საგანი - ,,კულტურა ანალების სკოლის კვლევებში“.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 10 სტუდენტით და დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები;

2. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 1994 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ანა ღლონტის (ბაზლიძე) აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #17/პ, ხოლო იმავე წლის სხვა ოქმების ნომრებად განესაზვროთ ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.

3. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის მარიამ ფანჯიკიძეს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომრად განისაზღვროს #19/პ, ხოლო იმავე წლის სხვა ოქმების ნომრებად განესაზღვროთ ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის თარიღი (რიცხვი), რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად.

4. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ წარდგინებაში (ოქმი #12, 14.08.2015) და ანა ბოკუჩავას ნაწილში გაუქმდეს.

5. საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კომისიის შემადგენლობა:

ასისტენტ პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი - თავმჯდომარე
ასისტენტ პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი
ასისტენტ პროფესორი თეონა ლოდია
ასისტენტ პროფესორი მედეა დესპოტაშვილი
ასისტენტ პროფესორი ეფემია ხარაძე

6. სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის შესარჩევი კომისიის შემადგენლობა:

ასისტენტ პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი - თავმჯდომარე
ასოცირებული პროფესორი ლუიზა არუთინოვი
პროფესორი ქეთევან ჭკუასელი
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნუცა საღარაძე
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ბაქანიძე

7. სტუდენტების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსება განაწილდეს მაგისტრანტებზე ფაკულტეტზე დადგენილი წესის მიხედვით.

8. ფაკულტეტის სტუდენტების სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასების კომისიის შემადგენლობა:
ასისტენტ პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი - თავმჯდომარე
ასისტენტ პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ხიდაშელი
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ბაქანიძე
ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ფანცულაია.

9. ფსიქოლოგიის პროგრამაზე 2106-2017 წელს მისაღები კონტიგენტი განისაზღვროს 105 სტუდენტით, ხოლო დაწყებითი განათლების პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვროს 25 სტუდენტით.
ფაკულტეტის დეკანს დაევალოს შუამდგომლობა განათლების პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის შეძლებისდაგვარად გასაზრდელად.

დამტკიცდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო და დაწყებითი პედაგოგიკის საბაკალავრო პროგრამებზე არჩევითი საგნების მიხედვით სტუდენტების კვოტები წარმოდგენილი წესით,

ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვრები კი - შარშან წარდგენილი წინადადების ანალოგიურად.

10 . ა. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს ინგლისური ენის გამოცდა B2 დონით.
ბ. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის (ინტერდისციპლინური) სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ იქნას ნინო კიღურაძის არჩევითი საგანი - ,,კულტურა ანალების სკოლის კვლევებში“.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასისტენტ პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი / /

26. 11. 2015